



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 1503
09/03/2018

1503-09-2-201803090925



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

როგორც მოგეხსენებათ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის N5/9184 წერილით მომართა სსიპ - სახელმწიფო ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ეკატერინე სისაურმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდები: N27.06.51.005.01.111 და N27.06.51.005.01.112)) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 108-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხზე, ვინაიდან დასაბუთებულ გადაწყვეტილებას იღებს საკრებულო, შესაბამისად პროექტს შეიმუშავებს და განიხილავს წარმომადგენლობითი ორგანო.

გთხოვთ კანონით დადგენილი ვადის დაცვით, განიხილოთ ზემოაღნიშნული საკითხი (თქვენი სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია განიხილოთ მერიის მიერ შემუშავებული პროექტი, რომელიც წარმოდგენილია დანართის სახით) და მიიღოთ გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ა.სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და 108-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგინებ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგეხსენებათ რომ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მომართა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ქალბატონმა ეკატერინე სისაურმა 2018 წლის 16 თებერვლის N5/9184 წერილით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანია ქ. N126-ში არსებული შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე მდებარე ორი ერთეული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდები: N27.06.51.005.01.111 და N27.06.51.005.01.112)) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში აღნიშნული ქონების შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კაპიტალში შეტანის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ზემოაღნიშნულ საკითხზე მოთხოვნის წარმოდგენიდან 45 დღის განმავლობაში არ მიიღო გადაწყვეტილება, მაშინ მოთხოვნილი ქონება სახელმწიფოსათვის გადაცემულ ქონებად ჩაითვლება და სახელმწიფო ქონებად დარეგისტრირდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ საკითხის უმოკლეს პერიოდში განხილვასა და მხარდაჭერას.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგინებ ამავე კომისიის თავმჯდომარის გიორგი ჩახვამის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2018 წლის თებერვალი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და 108-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. დაკმაყოფილდეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, ეკატერინე სისაურის, 2018 წლის 16 თებერვლის N5/9184 მომართვა - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანას ქ. N126-ში არსებული შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე მდებარე ორი ერთეული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდები: N27.06.51.005.01.111 და N27.06.51.005.01.112)) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში აღნიშნული ქონების შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კაპიტალში შეტანის მიზნით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე



KA021706777115118

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, თ.ჭოველიძის ქ.10ა

ტელ: (+995 32) 2 98 11 11

info@nasp.gov.ge

10a T.Chovelidze Str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel: (+995 32) 2 98 11 11

info@nasp.gov.ge

N5/9184

16 / თებერვალი / 2018 წ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ასლი: საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

გიგზავნით, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსულ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 13.02.2018 წლის N01/453 წერილს, რომელიც შეეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ქ.ლანჩხუთში, ჟორდანის ქ. N126-ში არსებული შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე მდებარე ორი ერთეული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდები: N27.06.51.005.01.111 და N27.06.51.005.01.112) შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საკუთრებაში გადაცემის საკითხს.

გთხოვთ, განიხილოთ ზემოაღნიშნული ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადმოცემის საკითხი, შემდგომში მისი შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კაპიტალში შეტანის მიზნით.

დანართი: 2 ფურცელი

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
თავმჯდომარე

ეკატერინე სისაური